საქართველოს ეროვნული ბანკის

პრეზიდენტის ბრძანება №33/01

2010 წლის 9 მარტი

ქ. თბილისი

„ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის წესის“ დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის წესი“ თანდართულ დანართებთან ერთად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2002 წლის 25 ივლისის №19 დადგენილება „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების წესის“ დამტკიცების შესახებ“;

ბ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2002 წლის 18 ივლისის №18 დადგენილება „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშების წარმოებისა და ფორმების განსაზღვრის შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე;

გ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2003 წლის 3 თებერვლის №29 დადგენილება „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნების დაწესების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. ქადაგიძე

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის, კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს:

ა)მოთხოვნებს, რომელთაც უნდა აკმაყოფილებდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მაძიებელი (შემდგომში – ლიცენზიის მაძიებელი) სალიცენზიო განცხადების ფორმასა და წარდგენის პროცედურას, ასევე ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო დოკუმენტაციაში არსებული ინფორმაციის განახლების შემთხვევაში საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში – ეროვნული ბანკი) შეტყობინების პროცედურას;

ბ) საკუთარი კაპიტალის მინიმალურ ოდენობას;

გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშგების წარმოების წესსა და მათი ეროვნულ ბანკში წარმოდგენის პერიოდულობასა და პროცედურებს;

დ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის შეწყვეტისა და ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის წესსა და პირობებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის ტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დეკლარაცია – ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სპეციალური ფორმა, რომელიც ასახავს ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს (ორგანოების) წევრის შესაბამისობას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომში – „კანონი“) დადგენილ მოთხოვნებთან;

ბ) აუდიტირებული ფინასური ანგარიშგება – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება, რომელიც აუდიტირებულია აუდიტის საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისად;

გ) დაინტერესებული პირი – იურიდიული პირი, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

დ) მმართველობის ანგარიშგება – „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ანგარიშგება.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 25 ივნისის ბრძანება №148/04 - ვებგვერდი, 26.06.2026 წ.

მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო მოთხოვნები

1. ლიცენზიის მაძიებელმა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის (შემდგომში – ლიცენზია) მიღების მიზნით ეროვნულ ბანკს უნდა მიმართოს განცხადებით (დანართი № 1), რომელსაც თან უნდა დაურთოს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დოკუმენტები (თანდართული დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მიერ უნდა იქნე ს შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განცხადებას), აგრეთვე სხვა ინფორმაცია და დოკუმენტაცია, კერძოდ:

ა)ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიცენზიის მაძიებელი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია, როგორც სააქციო საზოგადოება ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

ბ)ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს არცერთ წევრს ჩამორთმეული არ აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება. მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის, ასევე მათ ბოლო 5 წლის განმავლობაში, არ ჰქონდათ დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევისთვის (დეკლარაციის ფორმა – დანართი № 2); დეკლარაციის ფორმა ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრის მიერ უნდა იქნეს შევსებული სრულყოფილად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული ბანკი არ განიხილავს სალიცენზიო განცხადებას;

გ) ინფორმაცია იმ ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს მნიშვნელოვან წილს (10%-ი სა და მეტს). ინფორმაცია ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შესახებ გულისხმობს:

გ.ა) სახელს, გვარს;

გ.ბ) საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში – პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მონაცემებს (მოქალაქის პირადი ნომერი, დაბადების თარიღი), ამ დოკუმენტის ასლს;

გ.გ) სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – სათანადო წესით ლეგალიზებულ ან აპოსტილით დამოწმებულ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება პირის იდენტიფიცირება;

დ) ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

ე) ლიცენზიის მაძიებელმა უნდა წარმოადგინოს ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება (იმის მიხედვით, თუ რომელია უფრო ახალი). თუ, ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზიის მისაღებად ეროვნულ ბანკს მიმართავს დაფუძნებიდან არა უგვიანეს ნახევარი წლისა, წარადგენს მიმდინარე ბალანსს (არა აუდიტებულს);

ვ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ეროვნულ ბანკს წერილობით აცნობოს ამის თაობაზე და წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილების განხორციელებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

3. ლიცენზიის მაძიებლის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა)ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უნდა ჰყავდეს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი;

ბ)ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებაში უნდა ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება;

გ)ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა თანამშრომლებს უნდა განუმარტოს საქმიანობის განხორციელებისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები და მიიღოს მათგან ამ ვალდებულებების დაცვის წერილობითი დასტური.

4. ლიცენზიის მაძიებლის ტექნიკური საშუალებები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: უნდა ჰქონდეს რეესტრის წარმოების პროგრამა, რომელიც იძლევა ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით . ლიცენზიის მიღების შემთხვევაში, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია საქმიანობის განხორციელების დროს გამოიყენოს ის პროგრამა, რომელიც მან ეროვნულ ბანკში წარადგინა ლიცენზიის მიღებამდე.

5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მაძიებელმა უნდა შეიმუშაოს და სალიცენზიო განცხადებას თან დაურთოს წესდება და რეესტრის წარმოების შინაგანაწესი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს გასაცნობად ემიტენტებისა და რეგისტრირებული პირებისათვის. აღნიშნული შინაგანაწესი უნდა შეიცავდეს:

ა)ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ოპერაციების ჩამონათვალსა და განხორციელების ვადებს;

ბ)დოკუმენტების ჩამონათვალსა და ფორმებს, რის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ახორციელებს ფასიანი ქაღალდების გადაცემის რეგისტრაციასა და სხვა ოპერაციებს რეესტრში;

გ) შემოსული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, დამუშავებისა და შენახვის წესებს;

დ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურების საფასურს;

ე) იმ ინფორმაციის, მონაცემების, ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების არასანქცირებული მოპოვების, მათი შეცვლის, განადგურების, გაყალბების, გახსნისა და გავრცელების, აგრეთვე მათი დაკარგვისაგან ან დაზიანებისაგან დაცვისათვის მიღებულ ზომებს, რომლებიც ეხება რეგისტრირებულ პირებსა და მათ ანგარიშებს;

ვ) ინფორმაციის ელექტრონულ მატარებლებზე მონაცემთა დაცვის ზომებს;

ზ) გაუთვალისწინებელ შემთხვევებში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობისა და დაკარგული ინფორმაციის აღდგენის გეგმას.

6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა სალიცენზიო განცხადებას უნდა დაურთოს ინფორმაცია მისი პარტნიორების (აქციონერების),ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების შესახებ, კერძოდ:

ა) პარტნიორების (აქციონერების) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა; საქმიანობა ბოლო 5 წლის გამავლობაში და ინფორმაცია ანგარიშვალდებულ საწარმოებში საჯარო ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ;

ბ) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი პარტნიორების (აქციონერთა) სახელები და თითოეული მათგანის წილის ოდენობა;

გ) ხელმძღვანელ პირთა სახელები, მისამართები და პროფესიული გამოცდილების აღწერა;

დ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან „ფასიანი ქაღალდების შესახებ“ საქართველოს კანონის, შესაბამისი წესებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე.

7. პირებს, რომლებსაც არ აქვთ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია, უფლება არა აქვთ, საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სიტყვები „რეგისტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი“ ან სხვა სიტყვები, თუ მათი კომბინაცია შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანება № 99/04 - ვებგვერდი, 02.12. 2011წ.

მუხლი 4. ფინანსური მოთხოვნები

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის აუდიტირებული საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250 000 ლარისა;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული კაპიტალის ოდენობის გაანგარიშება უნდა მოხდეს საანგარიშგებო წლისათვის ძალაში მყოფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს), ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის ინტერპრეტაციების (ფაისკ) მიხედვით.

3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე დაიცვას ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №99/04 - ვებგვერდი, 02.12.2011წ.

მუხლი 5. ლიცენზიის გაცემა და გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

1. ლიცენზიების გაცემა ხორციელდება „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის დადგენილი წესით.

2. ლიცენზია არ გაიცემა, თუ:

ა) ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები არ აკმაყოფილებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ იქნა გამოსწორებული ლიცენზიის მაძიებლის მიერ;

ბ) ლიცენზიის მაძიებელი ვერ აკმაყოფილებს კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს;

გ) ლიცენზიის მაძიებელს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით ჩამორთმეული აქვს შესაბამის ლიცენზირებად სფეროში საქმიანობის უფლება.

3. ეროვნული ბანკი ლიცენზიის გაცემის შესახებ ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ლიცენზიის მაძიებლის განცხადების მიღებიდან 45 სამუშაო დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით, თუ ეროვნული ბანკი წინასწარ აცნობებს ლიცენზიის მაძიებელს ამის თაობაზე.

4. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ლიცენზიის გამცემი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს დასაბუთებული უარი ლიცენზიის მაძიებელს.

5. ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 1 აპრილის ბრძანება №77/04 - ვებგვერდი, 02.04.2024 წ.

მუხლი 6. ლიცენზიის გაუქმება

1. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის V თავითა და კანონის 31-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, გააუქმოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია.

2. იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის მფლობელი არ ასრულებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობებს, ან ლიცენზიის მფლობელი არღვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ეროვნული ბანკი აფრთხილებს ლიცენზიის მფლობელს და უწესებს ვადას არანაკლებ 30 დღისა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.

3. თუ ლიცენზიის მფლობელი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად, ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააუქმოს ლიცენზია. ლიცენზიის გაუქმების საფუძველს ასევე წარმოადგენს:

ა)ლიცენზიის მფლობელის მოთხოვნა, რომელსაც იგი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილი წესით წარუდგენს ეროვნულ ბანკს;

ბ) ლიცენზიის მფლობელის ლიკვიდაცია.

4. ლიცენზიის გაუქმების შესახებ ეროვნული ბანკი გადაწყვეტილებას იღებს 30 დღის ვადაში;

5. ეროვნული ბანკი ვალდებულია ლიცენზიის მფლობელს დაუყოვნებლივ აცნობოს ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

6. ეროვნულ ბანკს სალიცენზიო მოწმობა უნდა დაუბრუნდეს ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 დღის განმავლობაში.

მუხლი 7. მოთხოვნები საქმიანობის მიმართ

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: ლიცენზიის მიღებიდან ერთი კალენდარული წლის გასვლის შემდეგ – უნდა აწარმოებდეს არანაკლებ 25 საწარმოს ფასიანი ქაღალდების რეესტრს.

2. ლიცენზიის მიღებიდან ერთი კალენდარული წლის გასვლის შემდეგ 15 კალენდარული დღის ვადაში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა უნდა წარმოადგინოს ანგარიშგება საქმიანობასთან დაკავშირებით. ანგარიშგებაში უნდა შედიოდეს:

ა) ემიტენტების სრული სია, რომელთა რეესტრსაც აწარმოებს რეგისტრატორი;

ბ) თითოეული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელ პირთა რაოდენობა;

გ) ინფორმაცია კონსოლიდაციის შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, თუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს საქმიანობისადმი, მან ეროვნულ ბანკს მაინც უნდა წარუდგინოს ანგარიში ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფორმით; ამ შემთხვევაში ეროვნული ბანკი უწესებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ვადას, არანაკლებ 30 კალენდარული დღისა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელმა უნდა აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზი.

მუხლი 8. ანგარიშგებები

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ეროვნულ ბანკში წარადგენს:

ა) წლიურ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას;

ბ) წლიურ ანგარიშგებას ემიტენტების შესახებ;

გ) ყოველთვიურ ანგარიშგებას ემიტენტების შესახებ;

დ) მიმდინარე ანგარიშგებას (შეტყობინებას);

ე) მმართველობის ანგარიშგებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 25 ივნისის ბრძანება №148/04 - ვებგვერდი, 26.06.2026 წ.

მუხლი 9. წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ყოველწლიურად უნდა მოამზადოს და ეროვნულ ბანკში წარადგინოს შესაბამისი კალენდარული წლის აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება, წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 90 კალენდარული დღისა.

1^1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომელიც ვალდებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოამზადოს მმართველობის ანგარიშგება, აღნიშნულ ანგარიშგებას ეროვნულ ბანკს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება უნდა შეიცავდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებითა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებებსა (უწყისებს) და შენიშვნებს.

3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილი უნდა იქნეს Excel -ის და PDF-ის ფორმატში.

4. პასუხისმგებლობა წლიური ფინანსური ანგარიშგების სწორად შედგენაზე ეკისრებათ კომპანიის მმართველი ორგანოს წევრებს.

5. წლიური აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს:

ა) ბალანსს;

ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;

გ) კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;

დ) ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;

ე) ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ეროვნული ბანკისთვის ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილ აუდიტირებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას და მმართველობის ანგარიშგებას ეროვნული ბანკი აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №99/04 - ვებგვერდი, 02.12.2011წ.
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2026 წლის 25 ივნისის ბრძანება №148/04 - ვებგვერდი, 26.06.2026 წ.

მუხლი 10. წლიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ

1. ყოველი სამეურნეო წლის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს წლიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ, რომელთა რეესტრსაც ის აწარმოებს (დანართი №3);

2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა წლიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნეს Excel-ის ფორმატში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №99/04 - ვებგვერდი, 02.12.2011წ.

მუხლი 11. ყოველთვიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ

1. ყოველი თვის დამთავრებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში რეგისტრატორმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს თავისი საქმიანობის ამსახველი ანგარიშგება, რომელშიც მოცემული უნდა იყოს:

ა) ემიტენტების სია, ფასიანი ქაღალდების მფლობელების რაოდენობის მითითებით (დანართი №4);

ბ) კონსოლიდაციის შედეგები (ახალი კონსოლიდირებული რეესტრის არსებობის შემთხვევაში), (დანართი №5);

გ) სარეგისტრაციო ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები და მიზეზები (დანართი №6);

დ) ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის მფლობელი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ (დანართი №7);

ე) ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გადაცემები (დანართი №8);

ვ) ანგარიშებზე განხორციელებული ბლოკირების შემთხვევები (დანართი №9).

2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ყოველთვიური ანგარიშგება ემიტენტების შესახებ ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინოს როგორც მატერიალიზებული, ასევე ელექტრონული ფორმით. ანგარიშგების ელექტრონული ნაწილი წარმოდგენილ უნდა იქნეს Excel-ის ფორმატში.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 1 დეკემბრის ბრძანება №99/04 - ვებგვერდი, 02.12.2011წ.

მუხლი 12. მიმდინარე ანგარიშგება (შეტყობინება)

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ეროვნულ ბანკს უნდა წარუდგინოს მიმდინარე ანგარიშგება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების თაობაზე, ფაქტის დადგომიდან 7 კალენდარული დღის ვადაში:

ა) ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, მიზეზებისა და თარიღის მითითებით, აგრეთვე იმ პირის მითითებით, ვისაც გადაეცა რეესტრი;

ბ) რეგისტრატორის სალიცენზიო დოკუმენტებში ცვლილებების შესახებ;

გ) რეგისტრატორის წარმომადგენლობის ან ფილიალის შექმნის (გაუქმების) და მისი სტატუსის შესახებ.

მუხლი 13. ხელმოწერები

რეგისტრატორის ანგარიშებს ხელს უნდა აწერდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სათანადოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია ანგარიშებში მითითებული ინფორმაციის სისწორეზე.

მუხლი 14. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ვალდებულებები მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის დროს

მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია, ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრი 5 დღის ვადაში გადასცეს იმ ემიტენტს, რომლის ფასიანი ქაღალდების რეესტრსაც ის აწარმოებდა, ან ამ უკანასკნელის მოთხოვნით, მის ახალ რეგისტრატორს.

დანართები №1 - №9 (ერთვის დანართი ფაილის სახით)
საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 2 აპრილის ბრძანება №51/04 - ვებგვერდი, 03.04.2018წ.